

1946

№ 1-2. 1946 წ.
ბაზოცემის წელი XXII
ფანი 4 მან.

ნიანგი

თბილისი.
ბაზოცემლოა
„კომუნისტი“



1-24



ნან. დონისა

შხაკა-შხუკის კაცი

ხალხური გადმოცემით, როცა ერთ მეცხვარეს საქონლის საკვები გამოეღია, გულაში ჩასვა კატა და ბოსელში ჩამოჰკიდა. დამწყვდეული კატა ხტოდა, აფხაკუნებდა და ართობდა დამშეულ პირუტყვს.

კახეთიდან გვატყობინებენ, რომ ძველი ანაგის სტალინის სახელობისა და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში დროზე არ მოამზადეს პირუტყვის საკვები, ზამთარი მოულოდნელად მიადგათ კარზე და საქონელი მშიერი დარჩათ. წინაგის წინადადებაა: პირდაპირ ნუ მიბაძავენ იმ ცნობილ მეცხვარეს, კატის მაგიერ გულაში კოლმეურნეობის უმაქნისი თავმჯდომარე ჩასვან. ამ უკანასკნელის ფხაკა-ფხუკისა და „ამას ვიზამ, იმას ვიზამის“ ძახილით უკეთესად გაერთობა დამშეული პირუტყვი და იონჯის ამოსვლაზე უგნებლად მიადწეხს.



ვარდენი თავიდანვე დღელავდა. ხუმრობა ხომ არა იყო საარჩევნო ოლქში სიტყვით გამოხატვა. რამდენი მჭევრმეტყველება უნდა დაეხარჯა: ჯერ ზოგადი მიმოხილვა, შემდეგ ჩვენში ხალხის წარმომადგენელთა არჩევის უაღრესად დემოკრატიული პრინციპებისათვის ბურჟუაზიული მახინჯი საარჩევნო სისტემის დაპირისპირება, მერე კერძოდ იმ საარჩევნო ოლქის მიღწევები ისტორიული დროის გარკვეულ მონახაზზე, ხოლო შემდეგ თვით დებუტატობის კანდიდატის დახასიათება, მისი საამაყო წარმატებების გაცნობა ამომრჩეველთათვის.

მართალია, ვარდენს ჯერ პირადად არ ჰყავდა ნანახი მათ ოლქში კანდიდატად დასახელებული სტახანოველი ქალი, მაგრამ მისი კარგი მუშაობის შესახებ, მისი ბრწყინვალე წარმატებების შესახებ იმდენი ჰქონდა წაკითხული და გაგონილი, რომ შორიდანვე მოხიბლული იყო მისით.



თავს ძალას ატანდა ვარდენი, ცდილობდა ისეთი სიტყვებისა და შედარებების გამოხატვას, რაც, მისი აზრით, განსაკუთრებით უნდა მოსწონებოდა ამომრჩეველთა ფართო საზოგადოებას, რომელიც შეხვედრას უწყობდა თავის სადებუტატო კანდიდატ-ქალს, მათი რაიონის განთქმულ სტახანოველს, რომელმაც ჩაის კრეფისა და ჩაის ბუჩქების მოვლა-მომზადების საქმეში საამაყო სახელი მოიხვეჭა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ეს კია, რომ მომზადებისათვის დრო ცოტა მისცეს ვარდენს. სულ ერთი დღე არც კი-გამოუვიდა: დილას დავალება მიიღო და ნაშუადღევს უკვე სადგურისაკენ გაეშურა, რომ ჩამოვლილ მატარებელს გაჰყოლოდა მახლობელ ქალაქში, სადაც საარჩევნო ოლქი იყო ჩამოყალიბებული. იქ მოელოდნენ მომავალ დებუტატსაც. ვარდენი გზაში, მანქანაშივე იზებირებდა დაწერილ სიტყვას, იმეორებდა ფრაზებს, არჩევდა სიტყვებს, ფიქრობდა დიქციასა და ხელის შესტიკულაციასზე.

მატარებელში რომ შევიდა, კუბეში ისეთი კუნჭული ამოიჩინა, სადაც ფანჯარასთან პატარა მაგიდა იყო მიდგმული. მესამე ზარიც კი დაირეკა, მაგრამ იმ კუბეში ვარდენის მეტი არავინ შესულა. უხაროდა, ნეტავ არავინ შემოვიდეს, ხელს არ შემეშლიდეს გაზებირებაში. ამოალაგა ქაღალდები, დაწერილი სიტყვა მაგიდაზე გაშალა, ჩაათვალიერა შესავალი, შეამოწმა თავისი თავი და დარწმუნდა, რომ სიტყვის პირველი ნაწილი კარგად იცოდა. ის ნაწილი კი, რომელიც კანდიდატის დახასიათებას ეხებოდა, არ ახსოვდა. შეუდგა მის დაზებირებას და მალე მატარებლის ბორბლების გუგუნს შეუერთდა მისი პათოსიან კილოზე აწყობილი მონოლოგი:

„... რაც შეეხება ჩვენი რაიონის მშრომელთა მიერ ერთხმად დასახელებულს ჩვენს საყვარელ ამხანაგს, (ასახელებდა კანდიდატის სახელს და გვარს) ყველა თქვენგანი იცნობს, იცნობს ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა კავშირი, — იგი ჩვენი ხალხის პირმშოა, მისი სისხლი-სისხლთავანი, მისი თავდადებული შრომა — ეს ნამდვილი გმირობაა, ჩვენ გვიყვარს (კვლავ წარმოსთქვა კანდიდატის სახელი), გვიყვარს იმიტომ, რომ ის მთელს თავის ენერჯიას, ცოდნას, გამოცდილებას ჩვენი ქვეყნის ალორძინების საქმეს ახმარს, სამაგალითოდ მუშაობს, უყვარს ხალხი, მისთვის თავდადებულია. ამხანაგი (კვლავ დაასახელა კანდიდატის სახელი) ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ენერჯით აღსავსე, მშვენიერი, ჩვენი ქვეყნის საამაყო ქალიშვილი (ამ ადგილზე

ვარდენმა ხმა უფრო შეატკბო, არტისტული პოზა, თეატრალური დიქცია მოიშველია). ჩვენ ვუცხადებთ მას ჩვენს უსაზღვრო ნდობასა და ერთგულებას, რასაც დაგუშვებთ თვით არჩევნების დღეს!..

აქ უცბად შეჩერდა ვარდენი. შუბლზე ცხვირსახოცი გადაისვა და უცბად შენიშნა კუბეში ახალგაზრდა ქალი, რომლის შემოსვლა მას არ გაუგია. იგი იჯდა მოკრძალებით, სანდომიან, ენერჯიულ სახეზე მორცხვი ღიმილი უკრთოდა, ოდნავ აწითლებულს თვალები ძირს დაეხარა და რალაც მოუსვენარ უხერხულობას მოეცვა მისი სახე.

ვარდენი ქურდობაზე დაკერილ ბავშვით დაიბნა.

— უჟაცრავად, ვერ შეგნიშნეთ, როდის შემოხვედით?

— მე მატარებლის დაძვრისთანავე შემოვედი, — მიუგო ღიმილით ქალმა, — რაკი ძალიან გართული იყავით, ფრთხილად ჩამოვჯექი, რომ ხელი არ შემეშალა თქვენთვის, მაგრამ...

— რა „მაგრამ“? — უნებურად შეეკითხა ვარდენი.

— უნდა ვითხრათ, რომ თქვენ აზვიადებთ.


ვარდენმა იწყინა.

— თქვენ რა იცით რომ ვაზვიადებ? თქვენ საქმის კურსში არ ხართ, ვერც მას იცნობთ და ალბად არც გაგიგონიათ თუ რის ღირსია.

— თქვენ ასე გგონიათ? — მიუგო უფრო მოკრძალებული მაგრამ ირონიული ღიმილით ქალმა.

მაგრამ სწორედ ამ დროს კუბეში ქალის მეგობრებმა შემოიხედეს, გაიხმეს იგი და სთხოვეს მათთან გასულიყო მეზობელ კუბეში. ქალი სიამოვნებით დაეთანხმა მეგობრებს და თავისი პატარა ჩემოდანი ხელში აიღო. მას რალაცის თქმა სურდა ვარდენისათვის, მაგრამ მეგობრებმა პირდაპირ გაიტაცეს იგი.

— უჰ! დალოცვილი საიდან გაჩნდა აქ? რაზე შემეშალა ხელი? — ჩაიბუზღუნა ვარდენმა და გადაშლილ სიტყვას დაუბრუნდა. დაუბ-



რუნდა, მაგრამ უკვე ეშხდაკარგული, დაბნეული და ალწილი ვარდენი ველარ ერკვეოდა ფრაზებში. გონებაში ის მოკრძალებული, სანდომიანი, მოღიშარი სახე გაჰხირობოდა, ყურებში კი ოდნავ ირონიით ნაოქვამი სიტყვები უწიოდა.

— „თქვენ ასე გგონიათ?“


* *

როცა ოლქის ამომრჩეველთა საზეიმო კრება გაიხსნა და დარბაზში შემოსულ კანდიდატს ყველანი მხურვალე ტაშით შეეგებნენ, ვარდენს ხვითქი დააყარა: ეს ის ქალი იყო, მატარებელში რომ შეხვედა, დაუშთავრებელი „თქვენ ასე გგონიათ“ რომ უთხრა. დაიბნა ვარდენი, შერცხვა, აიღწეა და, როგორც იტყვიან — „წახდა“. და როცა თავჯდომარემ ვარდენს სიტყვა მისცა, იგი ტრიბუნაზე ალღევებით გამოვიდა და დამსწრეთ მიმართა:

— ამხანაგებო, ჩვენმა პატივცემულმა და საყვარელმა (დაასახელა კანდიდატის სახელი) უკვე იცის მე რის თქმაც მინდოდა, თუ ჩემი სიტყვა ვაზვიადებულია — აგერ გასინჯეთ.

და მიუხედავად მთელი დღის გაზებირებისა და მომზადებული დიქციისა — თავჩალუნულმა ვარდენმა მოუმზადებელი გაკვეთილივით ჩაიკითხა თავისი პათოსიანი სიტყვა.

ნახ. ე. მაყაშვილისა



— წარმოდგენაც კი არა გაქვს განვლილ საგანზე. რას გეუბნებოდა წინა კლასის მასწავლებელი?

— მეუბნებოდა—ნიშანს ნათესაობის გამო, შენი მშობლების ხატით გიწერ, თორემ წარმოდგენაც კი არა გაქვს განვლილ საგანზეო.

შ ი შ ი

— ჩემმა მეზობელმა, დიდი შემოსავლიანი ადგილის მქონე კაცმა, რომელზედაც ამბობდნენ, ბოლო დროს მიბაძულობის სენით დაავადდაო, ერთ დღეს ოპერაში წასვლა ინება ცოლთან ერთად და, რადგან სავესტის დატოვება მოხუცი დედის ანაბრად ვერ გაებდნა, მთხოვა ვიდრე დაბრუნდებოდნენ, დამე მათ სახლში გამეტარებინა.—დაიწყო გახუნებულ პალტიანმა და გახეხილი პორტფელის მქონე კაცმა, როცა მგზავრთა შორის შიშის განცდის შესახებ ჩამოვარდა საუბარი და ყველამ თავისი გულისტკივილი ამოიქარა.

— ფანჯრები, დარბაზები და შუა კარები გულმოდგინედ მიგმანეს. მერე ერთხელ კიდევ შეამოწმეს ცოლმაც და ქმარმაც ცალ-ცალკე, კარი შიგნიდან ჩამაკეტინეს, ათასნაირი დარიგება მომცეს ყოველ შემთხვევისათვის და წავიდნენ.

დედას, დაბალ მოხუცს, ხალიჩადაფარებულ ტახტზე მოეკეცა. იტანჯებოდა საცოდავი: ჩაქულებილ ცხვირზე პენსე ედო, უვარდებოდა და ხელით ეჭირა; მეორე ხელით რუსულ გაზეთს ატრიალებდა და სურათების გარჩევას ლამობდა. ეს გაზეთი და პენსე ჩემი შესვლის დროს მიაჩეჩა რძალმა და საჩეჩელი ტახტქვეშ შეუგდო... კარებთან სკამი დამხედა, ჩამოვჯექი და იქიდან არ დავძრულვარ, მით უფრო, რომ მოხუცი მალმალ თავს აიღებდა და რაღაც უცნაური კრთომით შემომ-

ყურებდა. მერე გაზეთმა ძილი აწვია და მთხოვა რამე ახალს მოგყოლოდი. და დაიწყო ჩვენი უცნაური დიალოგი: აბა ამაზე ახალი რაღა მეთქვა? ავდექი და ატომური ენერჯის შესახებ ჩამოვუგდე სიტყვა. ის ფართო თვლებით მომჩერებია, მე აღვზნებას ვუმატებ და უცებ მაწყვეტინებს.

— თითქოს აბრაზუნებენ, ვაიმე, არავინ შემოგვეჭრეს!

— ვინ უნდა შემოგვეჭრეს?—სიცილით მივუგე, საბჭოთა მეცნიერების დაუმცხრალ ძიების შესახებ ვლაპარაკობ და ვატყობ, როგორ ემატება ცაცხაბი ჩემს მოხუცს ტელეფონის მავთულის ყოველ გაზუზუნებისას... გარეთ რომ ქარი ჰჭროდა!..

— ემანდ არავინ დახვდეთ!..

— ვინ უნდა დახვდეთ? — უზრუნველად ვიძახი და გადავცემ ატომური ენერჯის შესახებ უკანასკნელად მოსმენილ საჯარო ლექციის შთაბეჭდილებას. ის კი:

— ნეტავი ი მედალიონი არ გაეკეთებინა ჩემს რძალსა—რო წაართვან მილიციაშიც ვერ განაცხადებს, ვინ მოგცაო არ ეტყვიან?... რამხელა ჯაჭვი აქვს მერე... სულ ბაჯადლო ოქროსი!..

— მე ჩემსას განვაგრძობ და ღრმა რწმენით ვიმეორებ:

— ატომური ენერჯიაც გვექნება და სხვა რამეც.—და რადგან მე აღარ ვამწვიდებ, თვითონ ცდილობს მოხუცი თავის დამწვიდებას.

— ეტყვის საგვარეულო სახსოვარიო... მე დაუდევრად მივუგებ იქვე:

— საგვარეულო სახსოვარი, მე შენ გეტყვი, შენი რძალიც მუხრან ბატონის, ან ორბელიანის შთამომავალია!..—ქარი მატულობს, მავთულები წუიან და მანქანების ხმაურიც რაღაც შემაშფოთად შემოდის დაგმანულ ოთახში. მოხუცს პენსე ჩამოვარდნია, კუთხეში მიტუზულა, გაზეთი ფეხქვეშ მოჰყოლია—რაღა მიწა დავიყარო!..—ბუტბუტებს და კრთის. მომესურვა მისი უფრო მეტად აღელვება და ვყვები ათასგვარ ნათხზავს: აქ დასცემიან... იქ გაუხდით... იქ დაუშინებიათ მოგიცდით, მოგვიტანეთ... სახლში შესჭრიან, შემოჰკვდით... მათ...

მოხუცი ცაცხაბებს და ძლივს-ძლივს ამბობს ნიკაბის კანკალით:

— რა ეშმაკად აიტყვის წასვლა!.. რაღა ქვა დავიდო!.. ცოტა ახლოს მოიწი შენი ჭირიმი!..

მაგრამ მე უკვე სხვას ვფიქრობ: ხომ შეიძლება მართლა ვინმე შემოგვეჭრეს, მე თავგამოდებულ ქაბუჯად მიმიჩნიოს და სისხლს არ დაერიდოს?! ამბობენ ქურდის-ქურდი ცხონებულიაო, მაგრამ მე რათ უნდა გამიყენონ ცხონების გზას!?

ქუჩაში მანქანები გუგუნებენ, მავთულები ზუიან, ქარი ჰჭრის, საღდაც რაღაც ბრახუნობს, მოხუცს კანკალი ემატება, განა მარტო მოხუცს?.. ვერ ვინძრევი... გაქცევაც ძნელი მოსახერხებელია... ყველაფერი მიგმანილია... თითქოს მეშინია, მართლა მეშინია, თითქოს დავლაჩრდი, თავს ვიმხნევებ, მაგრამ იმ ფათერაკიანი ბინის შიშის ავადობა მძლევს...

ღმერთიც უშეგლით მალე დაბრუნდნენ! (ვინ იცის დამთავრებამდის მოიცადეს?) როცა ხმა ვიცანი და კარი ვაფულე, ორივე ერთად შემოვარდა და ერთად ამოიძახეს:

— ხომ არაფერი მოხდა?!

— არაფერი!—ჯერ კიდევ გაუნელებელი შიშით მიუგო დედამ და იკითხა:

— თქვენ როგორა ხართ?!

— კარგად!—ტვირთმოსხნილთაებრ ამოიქარეს და ასე ტანჯულად გაიღიმეს, შემეცოდნენ...

მე აჩქარებით გამოვშორდი იმათ ზღრუბლს, იმათაც აჩქარებით ჩაჰკეტეს კარი, კინაღამ შიგ მომყვა ცალი ფეხი. არც ამას ვინაღვლიდი, რადგან თავი გარეთ ვიგულე თუ არა, ისევ მხნე და ხალისიან ადამიანად ვიქეცი.

არ ვიცი მივხურე თუ არა იმ ღამეს ჩემი ოთახის კარები; არ ვიცი აქვს თუ არა საკეტი ჩემს კარებს...

ოთარ ჩხვიძა



მიჭირს, გუგუნებს მატარებელი,
 მალე თბილისში გაჩნდება იგი.
 ვაგონში არვის აჯარამებენ
 და სანიმუშო არის წესრიგი.
 მყუდროებაა გასაოცარი,
 თუმცა ხალხის რიცხვი ერთობ დიდია.
 სკამებზე ტევა რომ აღარ არი,
 ბევრი ძეხვივით მაღლა ჰკიდია.
 ერთი სიტყვით იდილიაა ისეთი,
 რომლისაც ძნელია დაჯერება
 და აი, როცა მატარებელმა
 გაიარა მეორე გაჩერება,
 უცბად ვაგონში გაისმის ჩხირების ტკაცანი,
 არტისტის პოზაში გაიჭიმება ერთი პაციანი
 და პანტასავით დაბეჭიდ ნაზზე
 დაიწყებს ასე:
 „სადარლი საფლაგ გეგები-ი,
 ვერ ნახე დამალულიყო,
 შენ ხომ არა ხარ სულიკო
 საფლაგში ამოსულიყო-ო-ო“.
 და როცა ეს სიმღერა მიწყდება,
 ვაგონში ლაპარაკა იწყება,
 იმაზე რომ ამ მშვენიერი სიმღერის კილო
 ასე დამახინჯებული არის სათაკილო,
 ხოლო შესრულება კი უგემური და სასაცილო,
 განა ეგ არის „სულიკო“-ამბობს ერთი მგზავრი.
 ტანწერწერა ქალი,
 გულმოსული და მწყრალი.
 —აქ ხმის გამართვა უნდა ცოტა,
 რომ სწორად ითქვას სიმღერის ნოტა,
 აგრე კი არა, მკახედ,
 შენებურად მკვანედ,
 ოდნავ დაბალ ნმაზე;
 აი, მაგალითად ასე:
 საყვარლის საფლაგს ვეძებდი

ვერ ვნახე დაკარგულიყო,
 გულმოსკენილი ვსტროდი
 შენ ხომ არა ხარ სულიკო!
 —აი ეს მესმის, თან მომწონს ეგ მე,
 შენ კი გაგიშვებია სტვირივით ცხვირი.
 დგეხარ და ყვირი, როგორც მეჩქემე.
 —რაო? „მეჩქემე“ ვინ დააკვესა?
 ნება მიბოძეთ ვიკითხო ესა!
 მე მეჩქემე ვარ, მერე რა არი,
 ეს საძრახისი ხელობა არი?
 ჩვენს ქვეყანაში ჩქემების კერვა,
 ხომ არ გგონიათ გუდების ბერვა?
 თვითონ ვინა ხარ ერთი გვითხარი,
 რომ იბლინძები ისე, ვით ხარი?
 ერთი უყურეთ! ვითომ შენ რა ხარ?
 დიდი ჰეჰიმი გამოჩნდი რადა!
 —ეჰიმი? მაგრამ რა შუაშია
 აქ ექიმებზე ასე გალობა?
 მე ვარ ექიმი, მერე ცუდია
 ეს საამაყო სპეციალობა?
 არ მომწონს თქვენი მჭევრმეტყველება.
 თქვენ უექიმოდ რა გეშველებათ?
 ავად რომ გახდეთ მოულოდნელად,
 ბიულეტენებს ვინ მოგცემთ ხელად?
 არა, ექიმი მაინც სჯობს ისე
 ვიდრე დალაქი, ანუ მექისე.
 მექისის ხსენებაზე უცბად ყური სცქვიტა
 შაითანბაზრელმა სულემიან კურბან-ალიმ, რომ
 მლის წვერ-ულვაშს შეღებულს ჰინით გადაპ-
 კრავს ფერი ჟანგან რკინის. იგი ზის სკამზე,
 ხან მეტებს გამზერს, ხან კი ლულავს თვალთა
 ბაიას და მოლულუნე ჭიანჭურივით აღნობს ბა-
 იათს.
 ის გითხარის „დალაქი“, შენ გითხარის „მექისი“

სან და იახში, მან და იახში
 ხაჩმ აბიჟით ნაში პრაფესი?
 ადა ქათორი გოსთ ფრიშოლ ნაში თიფლისი
 ფსიაქი ხვალთ ნაში პრაფესი:
 ნაშ პუშკინ, სამი გლაგინი სტხათვორშიქი,
 ოჩინ ფანრავილსა ნაში ბანი, ნაში თორშიქი.
 ნაშ ლერმონოვ ფრიშოლ —
 ბეიუქ ბაიათ ნაფისალ:
 გავარათ: „ჩოხ იახში ნაში თიფლისი ბანი
 ნაში სულემიან კურბან ალი“.
 სულელლას ჩვენი შრომა მოგვზონოს,
 შენ რათ არ მოგვზონოს.
 მექისე ვარ, მელორე ხომ არა ვარ?
 —ერთი უყურეთ ამ ჩემანალას,—
 წყრომით აცხადებს ბაქანზე მდგომი
 კოლმეურნე გლეხი,—
 შენც გერგო ნაცრიანი მჭადის ნატეხი?
 მელორე მითომ შენ რა გგონია?
 იმისი ცნობა არა გქონია!
 ეხლა, შეილოსა, მელორეობა
 შენ თუ გგონია ხუშრობა საქმე!
 შენ იცი ვხლა რათა ვარ აქ მე?
 იმ ჩვენ კოლექტივის ჯილდო რომ მისცეს,
 დამკვრელთა ჯგუფში მეც დამამტკიცეს,
 ექსკურსიაზე, მითხრეს, წადიო,
 თანაც მაჩუქეს დიდი რადიო.
 რათა, რითვინა? რის გულითვინა?
 სტახანოველი რომ ვარ მითვინა!
 შენ კი აქ ისე მახსენებ, თითქო,
 ვინმე უბრალო არტისტი ვიყო!...
 —ეს ვინ ბრძანდება, მსახიობებზე
 რომ მოისურვა აქ მკერებლობა?
 ვითომ და რაო? მსახიობობა
 გასაკიცხავი არის ხელობა?
 მე თვით ბალეტის მსახიობი ვარ
 და ცუდს ამაში ვერაფერს ვხედავ.
 შეეზოვე ხომ არა გგონივარ
 რომ ჩემს ხსენებას დაცინვით ბედავ?
 —რაფერ კადრულობთ ყმაწვილო, მაგას?
 რავა, ვინც ეზოს და ქუჩას დაგავს
 მას პატიოსან მშრომელათ არ თვლი?
 რა გაქვენ თავში, ჭკუა თუ ხვართქლი?
 ვაი შენს პატრონს! არ იცი რომა,
 სასახლოა დღეს ჩვენში შრომა?
 მე ჩემს საქმეში ინჯილერი ვარ,
 შენ კი მამცირებ, რავა, შტერი ვარ?
 ხომ გგონება აქ ვინცხას რაცხა
 დედაკაცურად რომ იწყებ ცაცხანს?
 —დედაკაციო? უი ჩემს თვალებს,
 ეს რა აკადრა ჩვენს მშრომელ ქალებს!
 სადა სცხოვრობდი ამდენი წელი,
 აგრემც წელკავით მოგტყდება წელი.
 ველარ შევიდა მაგ გოგრა თავში,
 რომ ამ ბედნიერ ჩვენს ქვეყანაში
 ქალი—კაცების თანაბარია
 დიდი საქმეც თან აბარია?
 დედაკაციო? უი ჩემს თვალებს,—
 ეს რა აკადრა ჩვენს მშრომელ ქალებს...
 * * *
 ასე გრძელდება შეხლა-შემოხლა,
 სიტყვა ბობოქრობს და გული დედავს,
 მაგრამ დასასრულ ამ კამათიდან
 საერთო დასკვნა გამოაქვს ყველას:
 ჩვენთვის უცხოა, დასაგმობელი,
 თანამდებობით მედიდურება
 და თავის პოსტზე ყველა მშრომელი
 ერთ დიად საქმეს ემსახურება.

ზოგიერთი კლინიკის ჰაე ქვიკირან

ნახ. ღონისა



— ამ წამალს, რომელიც არ იშოვება, დაღევ დღეში სამჯერ, ახლა წახვალ სხი-
 ვების მისაღებად—რომლის კაბინეტი არ მუშაობს, იქიდან ბარემ რენტგენის კაბინეტში
 შეიარე, რომელიც სამი თვის შემდეგ ამუშავდება და მეტი რა გიყო, ახლა თან ხომ არ
 გადაგყვები?



— ნეტავ სად გაატყავა ამდენი მელიები?
— მელიების რა მოგახსენო, მაგრამ ვილაც კაცს რომ გაატყავებდა, ფაქტია.

ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი

(სხვადასხვა ჟურნალებიდან)

ქნელი კითხვა

- დედიკო, დღეს მასწავლებლის კითხვაზე ვერც ერთმა მოწაფემ ვერ უპასუხა.
- კარგი მაგრამ, ისეთი რა შეკითხვა მოგცათ?
- ფანჯარა ვინ ვასტეხაო.

მათარებელი

- რევიზორი:** — ეს რასა გავს, ამოდენა კაცი ბავშვის ბილეთით მგზავრობთ?
- მგზავრი:** — თქვენი მატარებელი ისე ნელა დადის, რომ მე უკვე მასში დავაჟაკაცება მოვასწარი.

სკოლაში

- მასწავლებელი:** რა შეგიძლია მითხრა ალექსანდრე მაკედონელზე?
- მოწაფე:** კარგის მეტი არაფერი, მასწავლებელო.

მღვთვარები

- გაიგეთ რა უბედურება მოხდა?
- არა! რა მოხდა?
- კიბიდან სახლმმართველი გადმოვარდა და არაფერი დაუშავდა..

სასოწარკვეთა


- რატომ არ დაიყვირეთ, როცა ხელზე საათს გაგლეჯდნენ?
- პირის გაღებისა შემეშინდა, საათზე მეტად ღირებულ ოქროს კბილებს დამინახავდნენ.

აბანოში

- საოცარია, თქვენ ჩემზე წვირიანი ყოფილხართ...
- საოცარი არაფერია, მე თქვენზე მეტი ხნისა ვარ.

მომჭირნეობა

- მომჭირნე კაცი სხვა ქალაქში მიემგზავრება. ცოლი ეხვეწება: თუ წერილის დაწერა დაგეზაროს, ცარიელი ღია ბარათი მაინც გამომიგზავნე ხოლმე მარკით და შენი მისამართით. ამით გავიგებ ხოლმე, რომ შენ ცოცხალი ხარ და კარგათ გრძნობ თავს.
- მარკის გამოგზავნა რა საჭიროა? უკეთესი იქნება ღია ბარათი უმარკოდ გამოგიგზავნო, შენ უმარკო წერილის გამოხსნაზე უარს იტყვი და ჩემს ჯანმრთელად ყოფნასაც გაიგებ.



— ტყუილად ეძებთ ჩემო ჩხიკვო და ნუკრო, გაშომცემლობას თქვენს გამოხატვამდ ჯერ არ მოუტლია.

აკთი ნკეთი წყალი

იმ ჩემი ცოდვით სავსემ, წყალთა მეურნეობის აგენტმა, ამ ერთი კვირის წინ წყლის ფულზე მოგვაკითხა. ორი თვის სულ ოცდაერთი მანეთი იყო გადასახდელი და წყალი დავვიკეტა. თანხა სულადობის მიხედვით გავანაწილე მეზობლებზე და ფულის შეგროვებას შევუდექი.

— ბატონო, ჩემი ქმარი სირობსაც უშვრება წყალს, გახსაც უშვებს შიგ, მაგრამ მაგდენისას ისიც ვერ ყიდის, რა ამბავია! — სთქვა წყლის გამყიდველის ცოლმა რიფსიმემ.

— ბოშო, ჩემზე ორი მანეთი და ოთხი აბაზი, ანიკოზე ორი მანეთი და სამი აბაზი, ისინიც სამი არიან, ჩვენც, რეიზა, თვარა, კი... საყვედური თქვა ბუღალტრის ცოლმა სუსანამ.

— ბიძიკო, შეილიკო, დედიკო, რამდენხელ უნდა გავიმეოროთ, მე და პელაგია ერთნაირად როგორ დავხარჯავთ წყალს! — იწყინა მაკამ იერიშით, სოლივით შეიჭრა მეზობლის შინაურ საქმეებში: ეგ უსინდისო, სადაც კი ვინმე ნათესავ-ნაცნობი ყავს, ყველას სარეცხს აქ მოათრევს. მე მაგასთან როგორ მოვალ!

პელაგია იქვე, შორიანლო ყოფილიყო კონტრდაზვერვაზე და მოკრა თუ არა ყური პატივცემული მეზობლის სიტყვებს, აქაქანდა:

— შე ფაშვიანო, შე მწვირიანო ქოფაკო, რომ შეუდგები ხოლმე კრანს და სამ საათს იბან პირს, ცოტა წყალი იხარჯება, თუ?!

ფანჯარაში გადმოდგარ ანიკოს სუსანას სიტყვებისათვის ყური მოეკრა და ისიც ჩხუბის გუნებაზე მოვიდა:

— ქირიმე, ჩემო კეთილო მეზობელო, შენ რაკი ქმარი გყავს ბუღალტერი, გგონია ჩვენ არ ვიცით ანგარიში, თუ? ფანჯარები რომ ყვავილებით გაგვისია — ეს ბაღბაო, მარუსიაო, ეს ალენდრე-ბიო, ეს ჯანდაბაო, მაგის მორწყვაზე ცოტა წყალი იხარჯება, თუ?

— ჯანდაბა და დოზანა შენს ოჯახში, შე ნაფთის ქურდო, როგორ ბედავ ჩემი ოჯახის წყევლას. — გაკაპსდა სუსანა.

— ნავთის ქურდი! თორემ შენი ქმარი ანგელოზია, მამა გიცხონდება, მთელი მალაზია გაფცქვნა და კიდევ სხვას აბრალებთ ქურდობას?

— ხალხო, ნავთი რა არის და იმის ქურდი რა იქნება! — კვლავ

მოუგო ნიშნი სუსანამ ანიკოს და გულზე რომ მოლიანად გახეიქა, დამატებით ენაც კი გამოუყო.

თითქო ნემსი ჰკრესო, ისე აეწვა ანიკოს, მოთმინებანი სუსანას ნაპირი წაუტყდა და ცეცხლმოდებულოვით დაეტყა თმებში სუსანას, აქ კი მრავალი წლის საიდუმლოება გამოიარკვა: ბუღალტრის ცოლი თურმე პარიკს ატარებდა და მისი ფეხებამდე ჩამოკონწიალებული თმები ანიკოს შერჩა ხელში. მაყურებლებში, რასაკვირველია, სიცხლის ტალღამ იფეთქა, მაგრამ ანიკოზე სრულებითაც არ უმოქმედია ამ გარემოებას, ხელმეორედ მიიტანა იერიში. სუსანამ, დღესაც არ ვიცი, შიშისაგან თუ სირცხვილისაგან, საკუთარ ბინას მიაშურა;

— ჰაი შე ქაჩალო, შენა! — ყვიროდა ანიკო და ხელში თმებდაბ-ღუჯული სუსანას მისდევდა.

სუსანამ თავს უშველა და ოთახის კარები მოკეტა. გაშმაგებული ანიკო სახელურს სწვდა და ბოლოკივით ამოგლიჯა. ბრძოლა ამითი დამთავრდებოდა, რომ კარების სარკმლიდან სუსანას ენა არ გამოეყო. ცოფმორეულმა ანიკომ კარების სახელური მინას უთავაზა და ექვს უსწორ-მასწორო ნაწილად გაჰყო.

მინის ლაწანს სუსანას კივილი მოჰყვა. ბუღალტრის გულწასული ცოლი გორგალივით გაგორდა იატაკზე და მოწინააღმდეგეს გული დაუშვილდა. რიფსიმე ჩაკეტულ კარებს ებღღუნა, ვერ გაალო და ხერხი იხმარა: თავდაყურა გადაეშვა მინაჩამტვრეულ სარკმელში და ზომების მიღება არც კი დასჭირებია, დაეცა თუ არა ზემოდან სუსანას, იმ წამშივე მოასულიერა.

მეზობლებმა ანიკო ძლივს წაათრეეს სახლში. რამდენიმე წუთის შემდეგ ფრონტის მთელ ხაზზე სიმშვიდე გამეფდა.

ბუღალტერი იაკინთე ნიშნიანიძე ბინდისას დაბრუნდა სახლში. ცოლი ლოგინში დაუხვდა. ფეხითი რიფსიმე უჯდა და უაღერსებდა:

— სუ ჩემო სულო... დამშვიდდი ჩემო ნაწნავებიანო გკრიტო!..

სუსანამ ქმრის დანახვაზე ზღუქუნს უმატა:

— იაკინთე... იაკინთე... მომაშორე აქაურობას, თორე მოგი-კვლი.

შეურაცხყოფილმა ქმარმა სიმშვიდე ამჯობინა. შეიძლება იმის შიშით, რომ გადაკიდებულ მეზობლებს ცოლის სიქაჩლის ამბავი ეზოს საზღვარს გარედ არ გაეჟანათ, შერიგება ამჯობინა. სამი ბოთლი ღვინო ჩამოდგა, პურ-მარილი გააწყო და მეზობლებს დაუძახა. სუსანა გაშმაგებული, დაბმული კამეჩის თვალებით შეყურებდა ანიკოს და როცა ეს უკანასკნელი ღვინის ჭიქას მოიყუდებდა, სუსანა ველარ ითმენდა: თვალეებს ხუჭავდა.

ბოლოს იაკინთემ სთქვა:

— რა გახდა, ბატონო, ოცდაერთი მანეთი. ორ შაურზე ჩხუბობთ? შეგარცხვინათ ღმერთმა! მე ვიხდი სუყველას... — და შექიქ-ქიქებულმა ბუღალტერმა ხუთთუშნიანი გად'ოხადლო.

ფული გადაიხადა და აღრიან* მივადექი წყალთა მეურნეობის განყოფილებას.

განყოფილების მუშაკი ჯორზე შეჯდა.

— დროზე უნდა იცოდეთ ფულის გადახდა, ბაბა, დროზე. სად მცალია ახლა იქ წამოსასვლელად. ამ დღეებში გამოვივლი და გავხსნი.

შევხვიწე, მოვულაქუსე, „გვეცი მეთქი, პატივი“.

— პატივი... თქვენ რომ დიდი პატავისმცემლები ხართ!..

მივხვდი რა ისრითაც იყო დაკოდლი, შევაპირდი:

— როგორ გეკადრება, ისე არ ვინდომებთ!

გაბედა როგორც იყო, წამოვიდა. მოვიდა და ეზოში ჩამოჯდა.

ცოტახანს ვუცადეთ, შემდეგ ერთმა მეზობელთაგანმა შებედა:

— ქენით, თუ შვრებით სიკეთეს!

— მაკა, ბაბა. ერთი კილომეტრი გამოვიარე, აღარ დაჰსვენებთ?

მივხვდით, რომ განწირულები ვიყავით, სასწრაფოდ შევაგროვეთ ხუთი თუმანი, ერთი ბოთლი ღვინო მოვიტანეთ, საუზმედ ადგილობრივი რესურსები გამოვიყენეთ და „დალლილი“ კაცა დავაპურეთ. ოსტატმა ზედინზე გადაკრა ხუთი ჩაისჭიქა ღვინო, ბოლო-კი გაღეჭა, „მადლობა“ თქვა და წყალსადენის გახსნას შეუდგა.

მცხოვრებლებმა ჭურჭელი მოამზადეს და რიგი რომ არ გამარ-აულებო, ერთი-მეორის ხათრით შორიანლოს გაჩერდნენ წყალსადენთან და ორი დღის ნანატრ წყალს უტდიდნენ.

ოსტატმა წყალსაზომს უჩხიკინა, შემდეგ ონკანი გახსნა და ჩვენი თვალეები წყალსადენს მიაშტერდა, მიღს ერთი ვერცხლისფერი წვე-თი დაეკიდა, ერთხანს შეჩერდა, შემდეგ მოწყდა და დაბლა მოადინა წყაპანი.

— მთავარი მაგისტრალია გადაკეტილი, უფროს ტექნიკს მი-მართეთ! — მშვიდად თქვა ოსტატმა და წავიდა.

მცხოვრებლებმა ერთხმად ამოვიხვნეშეთ და იმავე ფიქრმა გა-გვიტაცა, თუ რაოდენ ძვირად ღირს ზოგჯერ წყლის ერთი წვეთი...
გ. ივანიშვილი



როცა ფეხი ატყუებს თავს

უცნაური რეფლექსია:—კაცი ზის და სწერს. სწერს, ვსთქვანთ, ივანეს სახელს, მაგრამ ახირებულად გამოდის—ივანეს მაგიერ—ქალაღღზე იწერება რატომღაც თებრონე. ეს ხდება მაშინ, როცა ხელი ატყუებს კაცს.

ხდება სხვაგვარადაც; შეიძლება იმავე კაცს დაემართოს უარესიც: იგი „ფიქრობს“, საზრიანობს ფეხით—რატომღაც კი ჰგონია, თავით ვფიქრობო და ამ შემთხვევაშიც სწერს იმავე „ივანეს“, მაგრამ ივანეს ნაცვლად გამოდის რალაც აბრაკადამბრა, ანუ ფეხი ატყუებს—თავს.

იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ფეხის მიერ მოტყუებული თავი ხელში გვაჩეჩებს შეცდომას. ესაა კურიოზი,—უშეტეს შემთხვევაში ახირებული და სასაცილო, ზოგჯერ თავსატეხი, ზიანის მომტანი კურიოზი. დიახ, ბევრია სერიოზულად კურიოზული ამბავი. ქვემოდმოყვანილთა გარდაც ბევრია. იცინეთ, თუ თავსატეხად არ გაგიხდათ.

კაცი, რომელიც უნდა დაიბადოს 49 წლის შემდეგ

დაილოცა მათემატიკა: მისი წყალობითაა ასტრონომია, ასტროლოგია და მეტეოროლოგია. ამინდის ბიუროს, მაგალითად, შეუძლია გვიწინასწარმეტყველოს როგორი ამინდი იქნება ხვალ—ეს ისევ მათემატიკის წყალობაა.

მაგრამ ჩვენ აქამდე როდი ვიცოდით, თუ მათემატიკურ „კანკლედობის“ საფუძველზე შეიძლებაოდა ამა თუ იმ მოქალაქის დაბადების წინასწარმეტყველება.

დღეს კი ეს უკვე ვიცით. გვიცოცხლოს ქუთაისის მმაჩის ბიურო. მას ჯერ კიდევ ექვსი წლის წინათ საბოლოოდ გამოურკვევია, რომ მოქალაქე პლატონ გიორგის-ძე ნაფეტვარიძე დაიბადება 49 წლის შემდეგ. გამოურკვევია და ავანსად გაუცია კიდევ მისი დაბადების მოწმობა № 315, რომელშიც სიტყვა-სიტყვით სწერია:

მოქ. ნაფეტვარიძე პლატონ გიორგის-ძე დაიბადა ათას ცხრაას ოთხმოცდა რვა წელს, ოცდაათ ივლისს. (30|VII 1988 წ.)

ნაფეტვარიძის მომავალ დაბადებას ისე გაუხარებია ბიუროს გამგე ვ. კუხიანიძე, რომ მას ჩუქურთმულად ჩაწნულ-ჩამოწნული ხელმოწერით შეუმკია და გადაუცია ის... იმავე პლატონ ნაფეტვარიძისათვის.

თქვენი არ ვიცით, გიკვირთ თუ იცინით, მაგრამ საწყალი პლატონ ნაფეტვარიძე ამ ცნობის მიღების შემდეგ, თავის არსებობას მოჩვენებად სთვლის და უცდის 1988 წელს, რომ ხელახლად დაიბადოს ნებისამებრ მმაჩისა.

ფუტკარება რომ წარა-კითხვა იცოდნენ...

ცნობილია, რომ ფუტკარი მეტად შრომისმოყვარეა და უპრეტენზიოდ ამზადებს თავს.

აღბად ფუტკრის შრომის მოყვარეობისათვის მიუბაძვთ სასკოლო სახელმძღვანელო „ქართული ენას“ ავტორებს, რომელთაც თავლივით ტკბილი ჰონორარის გაკეთება განუზრახავთ ფუტკრის ცხოვრების აღწერით. შეარგოთ, მაგრამ ერთი პატარა რეპლიკა გვიჩნდა დავუმატოთ იმ სიტყვოს.

ნახ. დონისა



ი. დავითაშვილი: (კალენდარს და მის შემდგენელს)

ცნობას უნდა შეჯერება, თუ გსურს მკლევარს დაედარო, არც ისეთი მოხუცი ვარ, როგორც ამბობ კალენდარო!

აი რას გვასწავლის „ქართული ენა“ (1945 წ. მე-2 გამოცემა მე-4 კლასისათვის) მე-273 გვერდზე დედა-ფუტკრების მუშაობაზე:

„დედა ფუტკარი საქმეს არ აკეთებს. თუ ხანდახან სკიდან გაფრინდება, ისიც სასეირნოდ... როგორც დედა ფუტკარი, ისე მამალი ფუტკრები არა შრომობენ.—და თავიანთ სიცოცხლეს ცუდაობაში ატარებენ“.


აი აღმოჩენა. ჩვენ კი გვეგონა, რომ ფუტკრების ოჯახის მოშენება, მისი გაძლოლა და შრომის ორგანიზაცია—მხოლოდ დედაფუტკრის კისერზე იყო. მას არც სასეირნოდ სცალიან და არც „ცუდაობაში დროს გასატარებლად“. ახლაც ვფიქრობთ, რომ „ქართული ენას“ ავტორების (შ. თაბუკაშვილის, ვ. რამიშვილის და თ. ჩერქეზიშვილის) კომპეტენტური თხზულების მიუხედავად, დედაფუტკრები მაინც ყველაზე გამრჯენი და დატვირთულნი არიან თავიანთი საქმით. ისინი თუ სკიდან გამოვიდნენ, თუ გაფრინდნენ—მთელი ოჯახი თან მისდევს, ინგრევა.

კიდევ კარგი, რომ ფუტკრებმა წერა-კითხვა არ იციან, თორემ ქუთუთოებს გაუსიებდნენ „ქართული ენას“ ავტორებს.

დახურულ გამანარჩილებელ



შემთხვევა ხორციის გახეობილებაში




1 მოვიდა ძვალთი

2 დახვდა ხორცი

3 ნავიდა ძვალთი

4 დარჩა ხორცია

მომხმარებლის ბუდეცხენი




მიმართებ
სწავლობებს
სათონი
დათაძე



რეზივუაქიონ
ბრძაქივან

1. თვითონ სჯობდაში ასწავ-
ლოს რომ ერთი და იგივე
მოცულობის ტყუარფორ
შეიშენა, ვიდრე ნაშენა.


რა მოხდა?




დღეს შუბონს
მაგიერ
გაიყვანა ვეში
ვამე-ქანაქაძე



2. მას მალაზიში ასწავლობდა, რომ
ერთი და იგივე მოცულობის ცხენი
რუროს შეიშენა ვიდრე რუინა.



დღეს შუბონს
ცხენაქაძის
მაგიერ
გაიყვანა ვამე-ქანაქაძე



ვინ-ვის...

— თქვენ ძველ ცნობაში წერია, რომ
საში სული ვაჭარ სარჩენია. ახლა თათი
სარჩენის ცნობა წარმოადგინეთ. ცოლი
იხილეთ?
— არა, ეს მეოთხე სული თქვენია მიტოვებ.
ყოველდღე სამს გრამს თავისთვის
იფრუვებს.

ვირთაბა: — დღეს უკვე მესამე თქმი შუბ-
ონის, მაგარონი ვირთებმა
შემიქამესო, მარაზიტი, ჩემს
ვირთებზე ცხოვრობს!..



1. ქეფის შემდეგ თამრიკომ ხუმრობით თავისი ქმრის ქული დაიხურა:

— რა მშვენიერი მოდა შემოსულა, — ჩაილაპარაკა თალიკომ, როცა თამრიკო დაინახა.



2. — ასეთი ქული ჩემს სახეს სავსებით შეეფერება, — სთქვა ანიკომ, როცა მიმავალი თალიკო დაინახა.

მარკ 83361

ხუნაბი

დიას, იმას მოგახსენებდით, შემადრწუნებელი და განუკურნებელი სენი — ხუნაბი მძვინვარებდა ჩვენს ქალაქში. დედები ჭკუიდან კინაღამ შეიშალნენ შიშით. ჩემს მეუღლეს, მისის უილიამსს, მივმართე ყურადღება მიქცევა პატარა ნელისათვის:

— ჩემო საყვარელო, შენს ადგილას რომ ვიყო არ დაგანებებდი ბავშვს ნაძვის ნაფორის ღებვას.

— უძვირფასესო, აბა რათ უნდა აენოს ნაძვმა ბავშვს? — მითხრა მან, თან კი მოემზადა ჩხირი წვერთმია, რადგანაც რაც უნდა გონივრული რამ ურჩიო ქალებს, მაინც კამათს დაგიწყებენ (ეს განსაკუთრებით გათხოვილ ქალებს ეხებათ).

— საყვარელო, საქვეყნოდ ცნობილია, რომ ნაძვის-ხე ყველაზე ნაკლებ ნოყიერი საქმელია ბავშვისათვის. ჩემი ცოლი, რომელსაც ხელი უკვე გაწვდილი ჰქონდა ნაფორის წასართმევად, შეჩერდა, ხელი უკანვე წაიღო და გაშტერებულმა შემომხედა:

— თალიკო, შენგან არ მოველოდი. ყველა ექიმის მიერ ერთნაირად აღიარებულია, რომ სკიპიდარი, რომელსაც ნაძვი გამოჰყავს, პირდაპირ მისწრება სუსტი სერხემლისა და თირკმელებისათვის.

— აჰ, მომიტყევე. მე როდი ვიცოდი, რომ ჩვენს ბავშვს დაავადებული სერხემლი და თირკმელები აქვს და რომ ექიმმა გირჩია...

— მერე და ვინ გითხრა დაავადებული სერხემლი და თირკმელები აქვსო?

— ჩემო ძვირფასო, შენ თვითონ არ მითხარი?

— ამას დამიხედეთ! მსგავსიც კი არაფერი მითქვამს.

— როგორ, ჩემო კარგო, ორ წუთსაც არ გაუვლია, რაც შენ სთქვი ეგა.

— კიდევ რომ მეთქვა, ეგ არაფერს ნიშნავს, ჩემთვის სულ ერთია ვთქვი თუ არა! არავითარ ვნებას არ მოუტანს ბავშვს ნაძვის ნაფორის ღებვა, თუ კი მას ასე სურს. და დაღეპავს კიდევ, გესმის?

— კეთილი. ახლა კი ვხედავ შენი მოსახრების ტეშმარიტებას, მეც წავალ და დღესვე შეგუკვეთ საუკეთესო ნაძვის ორ დიდ კუნძს. მანამ ცოცხალი ვარ ჩემმა ბავშვმა არ უნდა განიცადოს ნაკლებობა...

— ოჰ, კარგი, კარგი, სჯობს სამსახურში წახვიდე და ცოტა მომასვენო. კაცს ვერც კი გითქვამს უბრალო რამე, მაშინვე უნდა კული გამოაბა და ვეება გახადო.

— ეს ძალიან კარგი, მაგრამ შენს ბოლო ოქმულს ლოდიკა აკლია, რადგანაც...

— მაგრამ ვიდრე ჩემს სათქმელს დავამთავრებდი, იგი წავიდა და ბავშვი თან წაიყვანა.

სალამოს ცოლი ქალადივით გადაფითრებული დამიხედა.

— ოჰ, მორტიმერ, ყველაფერი გათავდა, პატარა ჯორჯ გორდონი ავადია!

— ხუნაბით?

— ხუნაბით.

— არაფერი იმედია?

— არაფერი ქვეყნად! ოჰ, ოჰ, რა დღე გაგვიტენდა! ცოტახანს შემდეგ ძიძამ ჩვენი ნელი შემოიყვანა, რომ დამე მშვიდობისა ეთქვა. მაგრამ ვიდრე ბავშვი ამას იტყოდა, უკვბ დაახველა. ჩემი ცოლი ელდანაცემი დავარდა, მაგრამ შიშმა თითქოს ძალა შემატარო, მყისვე ცოცხლად წამოხტა. ძიძას უბრძანა ბავშვის საწოლი ჩვენს ოთახში შემოეტანათ. ბრძანების შესრულების შესამოწმებლად თვითონ წავიდა და, რა თქმა უნდა, მეც თან გამიყოლა.

ყველაფერს ფაცა-ფუცით ვაკეთებდით, ძიძასთვის გასაშლელი ლოგინი მოვიტანეთ. მაგრამ მისის უილიამსს მოაგონდა, რომ ძალიან დაშორებული ვიქნებოდით მეორე ბავშვის ოთახს, და ვაი თუ ამალამ მასაც ხუნაბის ნიშნები გამოაჩნდესო. ამის გაფიქრებაზე ყველაზე გაფითრდა საბრალო ქალი. ბავშვის ლოგინი ისევ საბავშვო ოთახში გაიტანეთ და ჩვენი ლოგინიც გვერდით ოთახში დაგავეთ.

ახლა მისის უილიამსს თავში გაუფლავა ხომ შეიძლება ნელისაგან ხუნაბი პაწია ბიჭს გადაედღოსო. ამ ფიქრმა ხელ-ხლა დააფეთიანა და თუმცა ძალიან ვცდილობდით, მაინც ვერ დარჩა კმაყოფილი იმ სისწრაფით, რითაც ჩვენ უკანვე წამოვიღეთ ბავშვის ლოგინი.

ჩამოვედით დაბლა სართულში, მაგრამ აქ ძიძასთვის არ აღმოჩნდა ადგილი, ძიძის გამოცდილება კი დაუფასებელ დანშარებას გაგვიწვესო. ასე რომ კვლავ ჩვენს საწოლ ოთახს დაუბრუნდით და ისეთი შებვა ვიგრძენით, როგორც შეუძლიათ იგრძნონ ქარიშხალ-

გამოვიღებმა ჩიტებმა, რომლებიც კვლავ იპონინან თავიანთ ბუდეებს.

მისის უილიამსი საბავშვო ოთახში გაიქცა გასაგებად იქ როგორ მიდიოდა საქმეები, იმავე წუთს უკანვე მოვარდა ახალი შიშის ძრწოლივით:

— რამ დააძინა ბავშვი ასე მაგრად?

— ბავშვებს ყოველთვის კარგად სძინავთ, გეთაყვა. — დავამშვიდე მე.

— ეს მეც ვიცი, მაგრამ აქ რაღაც სხვა ამბავია ენლა. მისი ძიძა ძალიან გამოუცდელია, მარია დაეტოვოთ მასთან.

— მართლაც კარგი იქნება, მაგრამ აქ ვილა უნდა დაგვხმაროს?

— აქ კიდევ შენ დამხმარები. სულ ერთია მაინც არავის ვენდობი. თვითონ უნდა გავაკეთო ყველაფერი, მით უმეტეს ასეთ დროს.

მოხუცი მარია პაწია ბავშვის ოთახში წავიდა, ჩვენ კი იქვე დავრჩით.

ნელიმ ორჯერ დაახველა ძიძაში.

— რატომ იგვიანებს ექიმი? მორტიმერ, ოთახი ძალიან ცხელია, მეტის-მეტად ცხელი. წადი რვეულატორი გადასწიე.

წავედი და გადავსწიე, თუმცა 21° უჩვენებდა, რაც სრულად ნორმალურია მით უმეტეს ავადმყოფი ბავშვისათვის.

მაღე მეეტლე მოვიდა და ამბავი მოიტანა, რომ ექიმი ავადია და ვერ მოვაო.

მისის უილიამსმა მიმკვდარებული თვალით შემომხედა და მიკანვებული ხმით მითხრა:

— აი, ნამდვილი ბედისწერა. ხედავ, ყველაფერი თითქო განგებ ეწყობაო. არასდროს ავად არ გამხდარა, არასდროს აქამდე. არ ვიქცეოდი ისე, როგორც ეს საჭიროა, მორტიმერ. ამას გეუბნებოდი კიდევ დრო და დრო. ახლა კი იგვემ შედეგი! აღარ მორჩება ჩვენი ბავშვი, ღმერთს მადლობა უთხარი, თუ კი შეგიძლია თავს მიუშტეო, მე კი ვეღარ მივუშტეებ, ვერა.

მე ყველაგვარი ცუდი განზრახვის გარეშე ვუთხარი როგორც ვფიქრობდი, რომ ცხოვრებაში არავითარი ცოდვები არა გგქონია მეთქი.

— მორტიმერ! ახლა გინდა ჩემ ბავშვსაც დაატეხო განკითხვის დღე?

დაიწყა ტირილი, მაგრამ უეტრად შეჩერდა:



3. — თუ ჩვენც ასეთი ქული არ დავინურეთ, იტყვიან მო-
დას ჩამორჩენილანო, — უთხრა პასიკომ ტასიკოს, როცა
ქუჩაში მიმავალი ანიკო და მანიკო დაინახა.



4. — ღმერთო ჩემო, თუ ჩემს ქმარს ის ქული არ წავართვი, რო-
მელიც ერთხელ ხუმრობით დავინურე და არ ვატარე, — ჩამორ-
ჩენილს დამიძახებენ, — სთქვა თამრიკომ, როცა ქუჩაში მისგან
წარმოშობილი „ახალი მოდის“ ქულები დაინახა.

— ექიმი წამლებს მაინც გამოგზავნიდა.
— ჰო, წამლები გამოგზავნიდა, აი აქ არის.
— ჩქარა მომეცი, ხომ იცი ყოველი წუთი ძვირფა-
სია ეხლა. თუმცა რაღა ახრი ჰქონდა წამლის გამო-
გზავნას, როცა მშვენიერად იცის, რომ განუკურნებელი
სენია.

მე ვუთხარი ვიღაც ცოცხლობ იმედი არ უნდა და-
კარგო მეტიკი.

— იმედი! შენ არც კი იცი რას ამბობ, მორტიმერ!
ერთი დახედე, რეცტაზე სწერია ჩიის კუბით საათში
ერთჯერ! საათში ერთჯერ! თითქოს მთელი წელი
გვედოს წინ ბავშვის გადასარჩენად. მორტიმერ, აბა
ჩქარა დაალევიე საბრალო განწირულ ბავშვს სუფ-
რის კოვხით, ოღონდ ჩქარა, ეცადე ჩქარა!

— მაგრამ სუფრის კოვხა იქნებ...

— ნუ გამაგიჟებ! აგრე, აგრე, აგრე ჩემო საყვა-
რელო, ჩემო სიცოცხლე, ძალიან მწარეა, მაგრამ
ხელის არგებს, დედიკოს საყვარელ ბავშვს არგებს და
მოარჩენს. აბა თავი დედიკოს გულს დაადე და დაი-
ძინე. ოჰ, ღმერთო, ვიცი რომ დილაზე ვერ მიაღწევს.
მორტიმერ! თითო სუფრის კოვხი ყოველ ნახევარ
საათში აბ, ბავშვს ბელლოდონაც სჭირდება და აკო-
ნიტიც. აბა მორტიმერ, ჩქარა მოარბენინე, აბა, ჩუმა-
დ. მე ვიცი რასაც ვაკეთებ, შენ არაფერი გაგეგება ამე-
ებისა.

ბავშვის საწოლი ჩვენი ლოგინისკენ მოვწიეთ და
დავწვიეთ. ამ ალიაქოთმა ისე დამქანცა, რომ ორიოდ
წუთში თითქმის მიმეძინა. მისის უილიამსმა მაშინვე
წამომავლო.

— გეთაყვა, ოთახი ძალიან ცივია და რეგულატო-
რი გადაატრიალე.

* გადაატრიალე რეგულატორი და კვლავ მივიძინე,
მაგრამ ისევ წამომავლიდა.

— აბა შენსკენ გასწვი გეთაყვა, ბავშვის ლოგინი.
რადიატორთან მეტად ახლოა.

ლოგინი გავსწიე, მაგრამ უცებ ხალიხას წამოვედე
და ბავშვი გავალვიე. მერე ისევ ჩამთვლიმა და ბუ-
რანში რაღაც გაბმული ბუტბუტო ჩომესმა:

— მორტიმერ, ნეტა ცოტა ბატის ქონი მოგვცა,
იქნებ დარკო!

ნახევრად ძძინარე ჩამოვცოცდი ლოგინიდან და
კატას დავადგი ფეხი, რომლისაგან მკისვე მივიღე სა-
პროტესტო განცხადება და კლანჭები.

— მორტიმერ, რატომ ანთებ სინათლეს, გინდა რომ
ბავშვი გაალვიდო?

— მინდა ვნახო ფეხი როგორა მაქვს. არაფერი
მოხდებოდა რომ მარია აქ დაგეტოვებინა. ეს მისი
საქმეა და არა ჩემი.

— გრცხვენოდეს, რომ მაგას ამბობ. სამწუხარო
არ არის რომ შენ ახლა, ჩვენი უბედურების დროს
ცოტა რამ გააკეთო, როცა ჩვენი საყვარელი ბავშვი..

— კარგი, კარგი, ყველაფერს ვაკეთებ. მაგრამ
დარეკით ახლა ვერაფერს გავალვიებ, ყველას სძინავს.
მითხარი სადა ბატის ქონი და მე თვითონ მოვიტან.

— ბუბრის თავზე საბავშვო ოთახში, მარიას უთ-
ხარი და მოგცემს.

მორტიმერ ბატის ქონი და კვლავ მივლულე თვალი.
კვლავ გამაღვიძა:

— მორტიმერ, არ მინდოდა შემეწუხებინე, მაგრამ
მგონი ცივა ოთახში, იქნებ ცეცხლი გაჩაღო. ასან-
თის გაკვრის მეტი არაფერი უნდა.

წავბარბაცდი და ცეცხლი გავაჩაღე, მერე საქმეზე
წამოვჯექი გამწარებული.

— მორტიმერ, გინდა რომ გაცივდე? ჩქარა დაწვი.
გწვებ-დი ლოგინში რომ მომადანა:

— დაიცა, დაიცა, ჯერ ბავშვს წამალი დაალევიე.
დედალევინე წამალი, რომელმაც ბ. ვნეი სულმთლად
მოთენთა და ცოცხალმკვდარს დაამსგავსა. ჩემი ცოლი
ხშირშირიად განდიდა ხოლმე და ბა უის ქონით ზელდა.
მაღე კვლავ დამეძინა, მაგრამ კვლავ წამოვდექი.

— მორტიმერ, ორჯოლ ქარსა ვგრძნობ. ამ ავად-
მყოფობისათვის არაფერია გამკრავე ქაოზე საშინელი.
გეთაყვა ცეცხლისკენ მისწიე ბავშვის ლოგინი.

ლოგინი ცეცხლისკენ მივწიე, მაგრამ ხალიხას
კვლავ გამოვდე ფეხი და ცეცხლში შევაგდე. მისის
უილიამსი წამოვარდა და გადაარჩინა ხალიხა. ამხუე
ცოტა არ იყოს წავლაპარაკდით. მერე კიდევ ჩამეძინა
ცოტა, მაგრამ კვლავ გამაღვიძეს სელის მარცვლის
კომპარესისათვის.

შეშის ცეცხლი არ განლავეთ მარადიული რამ, ასე
რომ იძულებული ვიყავი ყოველ ოც წუთში წამოვ-
მდგარიყავ და შემეკეთებინა. ამან საშუალება მისცა
მისის უილიამსს 10-10 წუთით დაეჩქარებინა ბავშ-
ვისათვის წამლის მიცემა და ამით თვითონ დიდი კმა-
ყოფილება და სულიერი მოსვენება მიეღო. დრო-
გამოშვებით კომპარესს ვუცვლიდი და მდოგვის ცომს
ვადებდი საცა კი თავისუფლად ადგილს ვნახავდი
ბავშვის ტანზე. გათენებისას შეშა გამოილია და ცოლ-
მა დაბეჯითებით მომთხოვა სარდაფიდან ამოშტანა.

— ჩემო კარგო, შეშის დაჩეხვა საშინელი საქმეა,
აქ საკმაოდ თბილა და კომპარესის გამოცვლაც მეტად
ალარაა საჭირო. გარდა ამისა..

მაგრამ არ დამამთავრებინა. ამოვიხდე შეშა და
ისეთი ზვინვა ამოვუშვი, როგორიც არაქათგამოც-
ლილ და დაწვეწილი სულის კაცს შეუძლია. დილას
ბუჯუღუგუნე ვიგრძენი, რომელმაც გრძობაზე მომი-
ყვანა. ჩემი ცოლი მრისხანედ სახეში ჩამშტერებოდა
და ქშინავდა:

— ყველაფერი გათავდა! ყველაფერი! ბავშვს ოფლი
მოსდის! რაღა უნდა გქნათ!

— როგორ შემაშინე! არ ვიცი რა გქნათ, იქნებ
აჯობოს კომპარესები მოვაცალათ და ორჯოლ ქარში
დავტოვოთ.

— გამოთაყვანებულო! წამის დაკარგვაც არ შეიძ-
ლებს! ექიმთან ჩქარა! შენ თვითონვე წადი და უთხარ-
ი უნდა მოვიდეს გინდა მკვდარი გინდა ცოცხალი.

წამოვავდე საბრალო ავადმყოფი ექიმი ლოგინიდან
და მოვიყვანე. მან დახედა ბავშვს და თქვა არ კვდებაო.
ამან რა თქმა უნდა გამახარა, მაგრამ ჩემი ცოლი ისე
გამწარა, თითქო ამით შეურაცყოფა მიაყენესო. რაც
შეგნება ხველას, ეს ალბად ყველს უბრალო გაღიზი-
ანების ბრალიაო. ამხუე მე მგონია ჩემს ცოლს სურვი-
ლი დაებადა კარები ეჩვენებინა ექიმისათვის. მერე
ექიმმა ხველის გასაძლიერებელი წამალი მისცა ბავშვს,
რომ რაც გამაღიზიანებელი იყო ბარემ ამოვგდო. აღ-
მოჩნდა ხის პატარა ნაფოტი.

— ამ ბავშვს ხუნაგი არა სჭირს. ალბად ნაძვის, ან
სხვა რაიმე ხის ნაფოტი სდებია პირში და ყელში მო-
ხვედრაო. ეს არაფერ ვნებას არ მიაყენებს. სთქვა ექიმმა.

— რა თქმა უნდა არა. მეც გეთანხმებით. — თქვი
მე. — სკიპიდარი, რომელსაც ნაძვი გამოჰყოფს, მშვე-
ნიერი საშუალებაა ბავშვთა სხვადასხვა სახის სნეუ-
ლებათა გასაქურნავად. ამას ჩემი ცოლი უფრო კარ-
გად მოგახსენებთ.

მაგრამ ცოლს არაფერი უთქვამს. იგი შეურაცყო-
ფილის სახით გაბრუნდა. ეს არასდროს მეტად აღარ
მოგვიგონებია და ჩვენი ცხოვრება მას შემდეგ უფრო
მშვიდად და მხიარულად მიდის.


სთარგმნა ინგლისურიდან ვახტანგ ზელიძემ

კ რ ა წ ყ ე ნ ი ნ ა


ნახ. გ. ისახევისა



1. ინსპექტორმა ფასების დამახინჯებაზე წაუხსროს ოფიციატს.



2. — ნუ გამაჭუჭყიანებ, ცოლშვილის პატრონი ვარ! — შესთხოვა ოფიციატმა.



3. ინსპექტორმა თხოვნა შეუხსრულა და გაჭუჭყიანების მაგიერ გაასუფთავა ოფიციატი.

ერთი წელი სრულდებოდა პავლეს ცოლის გარდაცვალებიდან.

— სირცხვილია კაცო, რას იტყვის ხალხი? ქვეყანას ნუ ალაპარაკებ, წადი ცოლის საფლავზე, ხალხმა დაგინახოს, სთქვან რომ გულდათუთქული დაიარება რაც მეუღლე გარდაცვალო, — ეუბნებოდნენ პავლეს ნათესავები.

— წავალ, უსათუოდ წავალ, — წამოცდა პავლეს, როცა შინაურებმა თავი მოაბეზრეს. და მართლაც, კვირა დღით პავლე პურმარილითა და მეგობრებით გზას გაუდგა სასაფლაოსაკენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ პავლე ერთ-ერთი საფლავის გვერდით იჯდა და „ქვიფს სწევდა“, თავის ტოლებთან ერთად. ისმებოდა სადღეგრძელოები, იცლებოდა ჭიქები და ღუღუკის ტკბილი ხმები, ცოლისა რა მოგახსენოთ და, პავლეს კი გულში თაფლივით ეწვეებოდა:

— აბა ერთი... ისეთი რამ დაუქარით... რომელიც ჩემს ცოლს უყვარდა, — ლულულდებდა უკვე მთვრალი პავლე.

— „მე რომ ვლოთობ შენ რას გიშლი, დაუქრათ? — იკითხა მედლოლე.

— აპ? — იყვირა პავლემ, — მთელი მისი სიცოცხლე მაგას ვუმღერდი და იმან მოკლა ეგ საცოდავი...

— „წყალში ვზივარ — ცეცხლი მიკილია?“ — განაგრძობდა მედლოლე.

— აპ, სულ მაგას არ მეუბნებოდა? დღეს რატომ არაფერი გიყიდიო, — შენს გადამკიდეს ცეცხლი მიკილიაო...

— „ცივ ზამთარში, უსახლკარომ, სიცივეში გავატარე?“

— აპ, იმაზე გახდა ავად ის ცხონებული, რომ მთელი ზამთარი უშეშობით სიცივეში გაატარა. ნულარ მომაგონებთ. ნუ გაწყენინებთ მიცვალებულს.

— „სამი რამ მიყვარს ამ ქვეყანად ღვინო, ღუღუკი, ქალები?“ —

— შენ კაცო, ჩემი ცხოვრების მედავთრე ხარ თუ მედლოლე? — შეუტია პავლემ, — მაგან ჩააგდო ლოგინად ის საწყალი...

— „შენ გენაცვალოს დედაო?“

— არ მომაგონოთ. ჩემს მიერ გალახულს სიდედრი ასე ამშვიდებდა: — სუ გაჩუმდი, „შენ გენაცვალოს დედაო“.

— „გაიღვიძე კაცო დროზე?“

— ყოველ დილას ნაპახმელიებს მაგას მიძახდა: გაიღვიძე კაცო დროზე, თორემ თავში კეტი გდრუზებო... ისეთი რამ დაუქარით რომ წარსული არ მომაგონოთ. ცოლის მომტირალ ქმარს ნუ მაწყენინებთ...

— ვა! მამაცხონებულის შვილო! — აყვირდა მედლოლე, — ერთი მოგიკლავს და ახლა ჩვენც ზედ უნდა მიგვაკლა? მთელი ჩვენი რეპერტუარი სახლში გაგიზებირებით და ჩვენ თუ არაფერი ვიმღერეთ, ამ სასაფლაოს ჰაერით ხომ არ ვიცხოვრებთ?..

— ჰაიტ, — იყვირა პავლემ, — ვინ ბედავს ჩემი მეუღლის საფლავთან ალიაქოთს, ვინ შეურაცყოფს ჩემს წარსულს?

და ვინ იცის რამდენხანს გასტანდა ჩხუბი რომ, მათ ყვავილების მოზრდილი თაიგულით ხელში — ერთი კაცი არ მიახლოვებოდა:

— ვინ ხართ კაცო თქვენ? — იკითხა მან.

— როგორ თუ ვინ? კაცი ვარ და თავზე ბუხრის ქუდი მახურავს...

— კაცი რომ იყო მაგას არ იზამდი, საქეიფოდ სხვა ადგილი ვერ ნახეთ?

— რაშია მოქალაქე საქმე? — წამოიწია პავლე...

— მამაცხონებულის შვილებო, ამ ჩემი მეუღლის საფლავთან რომ ჩხუბობთ, ცნობიერება დაკარგეთ? — გაცხარდა უცნობი.

— როგორ?

— როგორ, და ისე, აქ ჩემი მეუღლეა დაკრძალული. — სთქვა უცნობმა, თაიგული დაადო საფლავს და პავლეს მიუბრუნდა: — გთხოვთ სასწრაფოდ აალაგოთ ეს ხარა-ხურა...

შეშინებული მეზურნეები საფლავების ძეგლებს მიეფარნენ. პავლე ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, შემდეგ ბოთლები ხელით შეანჯღრია და როცა დარწმუნდა რომ ღვინო აღარ ჰქონდა, შეჩერდა:


— ღვინო აღარ ყოფილა და ხელცარიელი როგორ მივიდე ცოლის საფლავთან? — ჩაილაპარაკა მან, გამობრუნდა, ცხვირსახოცი გაშალა და ცრემლების მაგიერ, ღვინისაგან გაწითლებული ტუჩები მოიწმინდა...



ნახ. დონისა

—გაიგე?—საწყალი სერაპიონი შეშლილა.
 —ვინ გითხრა კაცო?
 —ჩემი თვალით ვნახე, შიშველი გარბოდა ქუჩაში.
 —როგორ, მთლად შიშველი?
 —მთლად უტანისამოსო,—მხოლოდ ნახევრად სველი ზეწარი ჰქონდა მოფარებული.
 —საცოდავი. ამბობდა რამეს?
 —როგორ არა, რაღაც აკვიატებულ სიტყვებს გაიძახოდა.
 —რაო, რა სიტყვებს?
 —„ჯანდაბას ტანისამოსი, დოკუმენტები, დოკუმენტებიც თან გაჰყავო“.
 —ნეტავი რა დოკუმენტებს ხიოდა საბრალო?
 —„სამხედრო წიგნაკი, რომელშიც იყო რამოდენიმე მადლობისა და ჯილდოების მიღების ცნობა, პასპორტი და სხვაო“.
 —საწყალი სერაპიონი, საიდან გარბოდა, ან საით?
 —№ 1 აბანოდან, სახლისაკენ.
 —ჰო-ო! ასე გეთქვა შე კაიკაცო, ეგ შეშლის ამბავი კი არა, სხვა მიზეზია.
 —რა მიზეზი კაცო?
 —რა და, აბანოში დაუქარგავდნენ ტანისამოსს,—არ იცი, რომ ასეთი ამბავი არც ისე იშვიათად ხდება ხოლმე სოხუმის № 1 აბანოში?
 —თუ ძმა ხარ, მართალს ამბობ?
 —ფაქტს გეუბნები, ამასწინათ ჩვენს მეზობელს ს. პ.საც ასე არ უყვებს?
 —როგორ და რანაირად?
 —ისე, რომ ბანაობის შემდეგ მან აბანოს გამგეს მოსთხოვა თავისი ტანისამოსი, მან კი თავის აბანოს წყალზე უფრო ცივი უარი შეაგება.
 —აბა რა გქნაო? შეეკითხა ტანისამოსის პატრონი.
 —რაც გინდა ქენი ბიძია, ხომ ხელავ—შენი ტანისამოსი ვილაცას წაუღიაო.
 —საოცარია, მერე რა ქნა ს. პ.—მ?
 —რას იზამდა, უცადა დაბინდებას, მერე ზეწარი მოიხვია და გაიქცა სახლში.
 —საწყენი ამბავი მითხარი, მაგრამ მიხარიან, რომ შეგხვდი: № 1 აბანოში ვაპირებდი წასვლას, მაგრამ აღარ წავალ.
 —აბა რას იზამ?
 —დავიცდი გაზაფხულამდე და შემდეგ პირდაპირ ზღვაში ჩაეყურყურებლავდები.

ს. შ—ნი.



— მოქალაქე, თქვენ სამი თუმანი ჯარიმა უნდა გადაიხადოთ იმის გამო, რომ გადასახველზე არ გადახვედით.
 — რას ამბობთ, მე ხომ ჯერ ქუჩის ნახევარი გაღმოვიარე!
 — მაშ ხუთმეტი მანეთი გადაიხადეთ.

შ ე მ რ ც ხ ვ ა

(ეპიზოდი საჩხერის სასტუმროს ცხოვრებიდან)

ამ დღეებში თბილისიდან საჩხერეში ჩამოვიდა ერთი ჩემი ნაცნობი. მან საქმეები ვერ მოათავა იმავე დღეს და ღამის გათევა აქ მოუხდა. ვემუდარე ჩემთან დარჩენა, რადგან ზოგი რამ გაგონილი მქონდა აქაურ სასტუმროზე, მაგრამ არ შემეწყენარა და სასტუმროში წავიდა.

მეორე დღეს ადრე ავდექი, მივაშურე სასტუმროს. ჩემს ნაცნობს სასტუმროს წინ შეგხვდი. დაღონებული და დაქანცული სახე ჰქონდა. შეკითხვაზე თუ როგორ გაატარა ღამე, მან ნერვიულად მიაბნო შემდეგი:

— „მოვედი ამ თქვენს სასტუმროში, ვუჩვენე პასპორტი, შეავსეს ანკეტა, მომცეს ოთახი, დავწექი, თერთმეტ საათზე სინათლე ჩაქრა. მაინც ჩამძინებოდა დაღლილს. არ გასულა ოცი წუთი, მე ვიგრძენი თითქოს მიწა იძრა და უფსკრულში გადავვარდი. გამომედვიძა, წამოვვარდი, ასანთს გაგკარი (ბედზე თბილისიდან ასანთი ჩამომყვა). სიცივისაგან კრიჭა შემეკვროდა. ვხელავ—ჩემს საწოლს ორი ფეხი გამოსცლია და თავდაღმა დავკიდებულვარ (თურმე შედგმული ჰქონია მოტეხილი ფეხები). ჩავიცვი ჩემი ტანსაცმელი და საწოლის გვერდით, იატაკზე დავწექი. დილით სიცივემ ადრე გამომაღვიძა, ვგრძნობ ტანზე რაღაცეები მოძრაობენ. წამოვდექი საწოლზე, გავიხადე ტანზე. წამოვისხი საბანი და დავიწყე ჩემი ტანსაცმლის გადათვალეერება. ჰოი, საშინელება, —ამაზრზენი პარაზიტები დაბობლავენ ჩემს კოსტუმზე. მოვიშორე ისინი. ავდექი, ჩავიცვი, ვიფიქრე პირს დავიბან და ქუჩაში მაინც გავალ მეოქი. მაგრამ სასტუმროში წყალი არ აღმოჩნდა (და როგორც შემდეგ გავიგე — აქ პირის დაბანა სავალდებულო არც ყოფილა). გამოვვარდი გარეთ და აი, ამრიგად პირდაუბანელი ვდგევარ შენს წინაშე“.—სევდიანად დაასრულა საუბარი ჩემმა ნაცნობმა და თან ოხვრით დააყოლა:

— ე-ე, რა გაეწყობა, გავბრიყვდი და შევედი ამ თქვენს საჩხერის სასტუმროში. ამიერიდან მეცოდინება.
 რა თქმა, უნდა შემეცოდა ჩემი გულმოკლული ნაცნობი, მაგრამ უფრო მეტად შემრცხვა, — შემრცხვა განა მარტო ჩემს მაგიერ? არა, უფრო სათანადო ამხანაგების მაგიერადაც...

მოდო ნახე

სწორი განმარტება



— რატომ ჰქვიათ ამ აბანოს საერთო?
 — იმიტომ, რომ სიცივის გამო შიგ ერთი კაცის მეთვრავინ სძლებს.
 — ვინ არის ის დევგმირი?
 — აბანოს დარაჯი.



„შანსიანი“

ტრამვაიში მჯილით შესვლა
სულ არ არის მისთვის ძნელი,



ბილეთისთვის ეწარება
რომ გაიკრას ჯიბეს ხელი.

ტროლეიბუსს მიაშურებს,
შიგ ურიგოდ ჯდება მალე,—
თან კონდუქტორს მიაძახებს:
— „მუღმივი“ მაქვს გენაცვალე.

ბაზარშია: სურხათისკენ
„გასახინჯად“ აჭყეტს თვალებს,
ხილს შეჭამს და პატრონს ეტყვის:
— ფუ, მწარეა გენაცვალე.

სინჯავს არაყს, სინჯავს ღვინოს,
ჩქარ-ჩქარა სვამს, ველარ ვთვალე,
რომ შეთვრება ასე იტყვის:
— თფუ, ძმარია გენაცვალე.

ყელსაც კოხტად მოიდერებს,
ჩუმად ასე ჩაიმღერებს:
— გადვინაცვლოთ, არიქა!—
დღეს აქა ვგამ, ხვალ იქა.

„ჩაქისორი“

რაიონში მსახიობად
მსახურობდა ილიკო,
— არ ვარგაო,— ჩურჩულებდნენ,
პირში მთქმელი ვინ იყო?

როგორ მოხსნას ღირეციამ,—
ერიდებოთ, რა უყონ?
ამ საკითხის განაჩენი
ილოს როგორ აუწყონ?

— რად დავნიშნოთ!— ფიქრობს ყველა,—
ბუტაფორად ივარგებს?
— რა სთქვი კაცო, რა წამოგცდა—
მაგას როგორ იკადრებს?

— თანაშემწედ,— არ ივარგებს,
და არცა გვაქვს ადგილი,
იხეთა სთქვით რამ ილოსთვის
იყოს ცოტა ადვილი.—



მეორე დღეს ილოს ბედი
ამ ბრძანებით აღნიშნეს...
შეღვათი გაავრცელეს...
რეჟისორად დანიშნეს...

მეზობელი მყავს „ვაჟკაცი“
ცოლი ყავს ანგელოზივით,
თეატრში ქმართან სკამზე დევს
ჩაფერფლილ პაპიროსივით.
პიესის ნახვას არ აცლის,



ხელად ააგდებს ჯუჯულუნით,—
ხელს წაშკრავს, ხალხში შეარცხვენს
წინ გამოიგდებს ბუზულუნით.
სახლში მოიყვანს, უყვირის
მუშტებს უღერებს სახეში:
— ახლა კი სადღა წამინვალ
ჩიტო, გაბმულლო მანეში!!
ის ვაჟბატონი ვინ იყო,
მშვიდათ რომ მოგცა სალამი,
გულზე რომ გადაგეყარა
ქმუნვის ხაზი და ვარამი?—
ან ის ვინ იყო, რომ ამბობ:
„არ მახსოვს მისი გვარიო“,—
რომ გამაცანი, რად უთხარ:
„ეს გახლავთ ჩემი ქმარიო“.
წინასწარ გააგებინე?
მიგიხვდი კაი ქალობას,—
შეჩვეული ვარ თქვენს მიერ
ამგვარ ჭიკჭიკს და გალობას...

კორექტორის რეპლიკა:

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მიწაზე გოგდება,
ცოლი ასეთი ქმრის ხელში,
უთეატროდც მოკვდება.

ნუკრი

აინთება, ჩაგვიჩაება, ანათებს და ბნელდება
(ა მ ბ რ ო ღ ა უ რ ი)

რიცეულის ჰიდროსადგურს
როგორ დავემდურებოთ?—
შუქს გვიგზავნის მოკაშკაშეს—
ვერა ვძლებით ყურებით.

ამბროლაურს ამასწინათ
გვენთო ელნათურები,
ორმოცდაოთხ კოლექტივსაც
უნათებდა სრულებით,

ჩინებულად მუშაობდა
გადამცემი, ფაზები,
მაგრამ დახეთ, ქვესადგურის
დაზიანდა ხაზები.

მონტიორებს აწუნებდათ
სხვა ფიქრი და ფეთება

რა ქნან როცა არ ხერხდება
მავთულის შეკეთება.

აინთება, ჩაგვიჩაება,
განათდება, ბნელდება,
და თუ უინყლილს არ მივმართეთ,
მუშაობა ძნელდება.

ამ პროცესის შემხედვარე—
გული მოგდის, ვბრაზდებით,
ნუთუ ისე ძნელი არის,
შეკეთება ხაზების?

ამბროლაურელი

ჩოხაგაუჩაღი

ბევრმა დაკარგა კალოში,
ბაზრის თავამდე მისვლითა,
ბაზარში შეველ, ტალახში
გადავიჩიხე კისრითა.

პირდარცხვენილი წამოვდექ,
ხალხი მომავწვა, გამსრისა,
ნეტავი ვინმეს თუ ახსოვს—
კეთილ-მოწყობა ბაზრისა.

სამკითხველოში თუ შეხვალ
მუღამ ძველია გაწეთი,
რატომ ჩავვარდით ამ დღეში,
რა დავაშავეთ ასეთი?

ლ. ძნელაძე

ცანას. თქვენი გულისწყრომა სამტრედიელ მოფრების მიმართ არ არის ჯეროვანად დასაბუთებული.

დილით აღრიან მოდიან
შოფრები უწყებებისანი,—
ქარგი ხაშოვრის მოძებნა
არის იმათი მიზანი.

აბა, თქვენ გინდათ მოსთხოვოთ თუნდაც სამტრედიის ერთ-ერთი ქარხნის შოფერს, რომელსაც თქვენ წაუყვანიხართ და ბერძნისწყაროსთან გადმოუგდინხართ—უმიზნოდ ეხრიგინებინა დაწესებულების მანქანა?

შოფერმა სამი ათასი
მანეთი გაახალტურა,—
სად მიაქვს მას ეს ფულები,
ვინ მისცა ამის ფაქტურა?

„ფაქტურას“ ცხადია, მას არავინ მისცემდა—ამ დანაშაულისათვის, მაგრამ თუ იმ მანქანას თქვენ სამტრედიის მურაბის ქარხნის კუთვნილებად გულისხმობთ, ცხადია, იმ ქარხნის დირექცია უშუალოდ დაინტერესდება თუ „სად მიაქვს მას ეს ფულები“ და, საერთოდ, „სად დააქროლებს დაწესებულების საქმეზე გაგზავნილ მანქანას“.

გორჯოშის რაიონი

სადგერელს: სადგერის და ქვებისხევის წისქვილების გაბაასე, ბამ დააფიქრა ნიანგი: მართალია, ორივე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეები თანაბრად გარჯილან, ერთნაირად დაუნგრევიათ წისქვილები, მაგრამ ნუთუ მართლა ორივე ერთი მოტივით ხელმძღვანელობდა:

მიტომ გაგვიჩივებს, შეგვასვენებს
შხამში ნალესი წაშალი,
რომ მათ კუჭებში არ ჩადის
ეს ჩვენი შემოსავალიო—ჩივიან წისქვილები.

აკი თქვენ ამბობთ სადგერის თავმჯდომარე პატარა მოყვანილობის კაციო,—ნუთუ ამხელა კუჭი აქვს, რომ მთელი წისქვილის შემოსავალი ჩაეტიოს?

როგორც არ უნდა იყოს, თქვენს დავალებას ვერ შეასრულებს ნიანგი:

„ნიანგო შენი ჩანგალი,
მოსდე და შეუჯანჯღარე
ამ გვირებს ტვინის დავთარი“.

„ტვინის დავთარის“ შეჯანჯღარება უკვე მომხდარ ფაქტად გამოსკვივის თქვენი მასალიდან.

ა მ ვ ე

ცხრა მოზინადრე: ბევრგან ვიყავით, ვიჩივლეთ,
თხოვნებიც შეგვიტანია,—
თითქმის შემოვვლეთ ხმელეთი,
ჰოლანდია და დანია.

ეს საინტერესო ექსკურსია თურმე იმიტომ გაგიკეთებიათ, რომ გეიხოვოთ თქვენი რა-დასუფთავების ტრესტისათვის პუშკინის ქუჩაზე № 4-ში ანტისანიტარული მდგომარეობისათვის ყურადღების მიქცევა.

თქვე დალოცვილებო, გეოგრაფიაზე თქვენი ახირებული წარმოდგენაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, დანიაში რომ გიჩივლიათ—თქვენი დასუფთავების ტრესტი მავას გაპატიებთ?

რა გვეშველება არ ვიცით,
გკითხავთ წვიმა და დაგვითა,—
განწირული ვართ, უთუოდ
ამოვიხრჩობით ნაგვითა!



1. ანჯიქო საქმეებს ინახავს.



2. საქმეები ანჯიქოს ინახავენ.

თანავიგრძნობით, მაგრამ რა გირჩიოთ არ ვიცით: იქნებ როგორმე შეიტყუოთ თქვენს ეზოში თქვენი რაიონის დასუფთავების ტრესტის მესვეურები და თუ ეს მოხერხდა, გამოუკეტეთ ალაყაფი და თვითონ კი თავს უშველეთ, დაე ისინი ამოიხრჩონ.

ც ხ ა კ ა ი ა

წიფელას: თქვენ გარკვევით ილაშქრებთ მზესუმზირას კულტურის გავრცელების წინააღმდეგ და „მუსიკალურად ამღერებულ“ ლექსს გვიგზავნით.

მზესუმზირა ცხიმოვანი
კულტურაა თუმცა კია,
მაგრამ მისი გავრცელება,
ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ კაია!

რატომ და რისთვის? თურმე თქვენს კინოთეატრში სურათის ჩვენების დროს მაყურებლები მზესუმზირას შეექცევიან და მის ჩეჩქს იატაკზე ჰყრიან.

ეკრანზე რომ კინო მიდის,
ბევრს იმისთვის არ ცალია,—
რადგან ისმის აქეთ-იქით,
მზესუმზირის ტკაცანია.

მართლაც საწყენია თუ ასე უკულტურო მაყურებლებიც ჰყავს მავ თქვენს კინოთეატრს, მაგრამ მასზე ნაკლები არც ისეთი მდგომარეობაა, როცა „მუზასაც“ იქვე „გააქვს ტკაცანია“.

საერთოდ კი, თქვენთან ერთად ჩვენც ვურჩევთ ცხაკაიას კინოთეატრის დირექციას—იფიქროს მაყურებლების უფრო კულტურულად მომსახურებაზე, მაგრამ მზესუმზირას კულტურის გავრცელებას რას ერჩით? ეშვით როგორც მას ისე... უკულტურო ლექსებსაც.



— ვინ არის ის კაცი წელზე რომ გამოუბამო?
 — მაგათი წარმოების დირექტორია, თბილისშიც მისივე მუშაკები „მიათრევენ“ და აქაც...

სარედაქციო კოლეგია: ი. შრივაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშაღვიანი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ რედაქციის მისამართი: ღონის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

სტამბა. დასაბ. 1946 წ. 7/11 დ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ღონის ქ. № 28. გამოც. № 14. შეკ. № 275. ტირ. 7500. უფ. 01130